

საქართველოს სტანდარტი

სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (სენ,CEN)/ტექნიკური კომიტეტის (ტკ,TC) 234-ის მიერ მომზადებული ფუნქციური სტანდარტებისთვის დასანერგი მითითებები. აირის ინფრასტრუქტურა-ნაწილი 1: ზოგადი დებულებები

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

საინფორმაციო მონაცემები

1 შემოტანილია: სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების 2016 წლის პროგრამის შესაბამისად სტანდარტიზაციის “ბუნებრივი გაზის” კომიტეტის ტკ 6-ის გადაწყვეტილების საფუძველზე.

სტანდარტს ჩაუტარდა ენობრივი ექსპერტიზა ენობრივი კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტში.

2 მიღებულია: სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2016 წლის 27 დეკემბრის № 96 განკარგულებით სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 6) გადაწყვეტილების საფუძველზე.

3 წინამდებარე სტანდარტი წამოადგენს სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის სტანდარტის სენ/ტრ13737-1:2012 სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (სენ, CEN)/ტექნიკური კომიტეტის (ტკ, TC) 234-ის მიერ მომზადებულ ფუნქციური სტანდარტებისთვის დასაწერად მითითებები. აირის ინფრასტრუქტურა- ნაწილი 1: ზოგადი დებულებები

4 პირველად

5 რეგისტრირებულია: სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საქართველოს სტანდარტების რეესტრში. 2016 წლის 27 დეკემბერი № 268-1.1-00311

II

დაუშვებელია წინამდებარე სტანდარტის სრული ან ნაწილობრივი კვლავწარმოება, ტირაჟირება და გავრცელება სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ნებართვის გარეშე

სარჩევი

წინასიტყვაობა	IV
შესავალი	IV
1. გამოყენების სფერო	1
2. სენ/ტკ 234-ის „ფუნქციური სტანდარტები“	1
2.1 ტერმინის „ფუნქციური სტანდარტიზაცია“ განმარტება	1
2.2 შინაარსი.....	1
3. ურთიერთდამოკიდებულება სენ/ტკ 234-ის „ფუნქციურ სტანდარტებსა“ და ეროვნულ სტანდარტებს შორის	2
4. A-გადახრები სენ/ტკ 234-ის მიერ შემუშავებული ფუნქციური სტანდარტებიდან	3
5. დასკვნები	4
დანართი A (ინფორმაციული) A-გადახრები - ამონაწერი სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის/ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (CEN/CENELEC) შიდა რეგულაციებიდან, ნაწილი 2, 2008, განახლებულია 2010 წლის იანვარში	5
დანართი B (ინფორმაციული) ტექნიკური საბჭოს (ტს, BT)	
შესაბამისი გადაწყვეტილებები.....	7

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

წინასიტყვაობა

მოცემული დოკუმენტი (CEN/TR 13737-1:2012) მომზადდა სენ/ტკ 234 (CEN/TC 234) ტექნიკურ კომიტეტ „აირის ინფრასტრუქტურის“ მიერ, რომლის სამდივნო გერმანიის სტანდარტიზაციის ინსტიტუტია (გსი, DIN).
ეს დოკუმენტი ჩაანაცვლებს CR 13737:2001

შესავალი

ეს დოკუმენტი მომზადდა ტექნიკურ კომიტეტის სენ/ტკ 234-ის მიერ (CEN/TC 234), ტექნიკური საბჭოს (BT) გადაწყვეტილების 53/1998-ის საფუძველზე. თავის ფუნქციურ სტანდარტებში სენ/ტკ 234 (CEN/TC 234) ადგენს უსაფრთხოების საერთო პრინციპებს უსაფრთხო და საიმედო აირის ინფრასტრუქტურის სისტემების დაპროექტირების, მშენებლობის, საქმიანობისა და მოვლა-შენახვისთვის. მოცემულ პრინციპებთან შესაბამისობის დეტალები უნდა დაადგინოს ეროვნულმა დოკუმენტებმა ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში. ეროვნულ კანონმდებლობაში/რეგულაციებში არსებულ უფრო მკაცრ მოთხოვნებსა და სენ/ტკ 234-ის მოთხოვნებს შორის წინააღმდეგობების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ეროვნულ კანონმდებლობას/რეგულაციებს, როგორც ნაჩვენებია სენ-ის ტექნიკური ანგარიშის მე-2 ნაწილში. კანონმდებლობის/რეგულაციების ჩამონათვალი გაფართოვდა, რათა მან მოიცვას სენ/ტკ 234-ის ყველა სტანდარტი. სენ-ის ფუნქციური სტანდარტები შედარებით ახალი კონცეფციაა. სენ/ტკ 234-ის სტანდარტები ერთ-ერთი პირველია, რომლებიც უნდა წარუდგინონ საზოგადოებას განსახილველად. ფუნქციური სტანდარტების შემუშავების საწყის ეტაპზე უნდა მოიძებნოს გზა სენ-ის შიდა რეგულაციებთან. ამ მიზნით სენ/ტკ 234-მა მოამზადა თავისი „პოზიციის შესახებ - სენ/ტკ 234-ის სტანდარტების მიღება“ N 432, რომელიც მოიწონეს სენ/ტს-ის გადაწყვეტილებით C14/1997 (იხილეთ დანართი B) ის , რომელიც ამჟამად თან ახლავს დოკუმენტს.

ურთიერთდამოკიდებულება EN სტანდარტებს და ეროვნულ სტანდარტებს და/ან რეგულაციებს შორის განისაზღვრება სენ-ის შიდა რეგულაციებით. სენ/ტკ 234-ის სტანდარტების განმარტება სენ-ის ქვეყნებში დასაწერად მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში.

ამ ტექნიკური ანგარიშის მე-2 ნაწილი მოიცავს შესაბამისი ქვეყნისთვის, ეროვნულ გვერდს, რომელშიც ჩამოთვლილია შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა/რეგულაცია აირის ინფრასტრუქტურის სფეროსთვის. ეროვნული გვერდი ასევე შეიძლება მოიცავდეს შესაბამის ეროვნულ სტანდარტებს და/ან პრაქტიკულ კოდექსებს და ეროვნულ ორგანოებს, რომლებიც შეიძლება ინფორმაციის წყარო იყოს, თუ დაინტერესებულ მხარეს დასჭირდება დამატებითი მითითებები.

ეროვნული გვერდი, თუ აუცილებელია, შეიძლება მიუთითებდეს რაიმე მოთხოვნებზე ეროვნულ კანონმდებლობაში/რეგულაციებში, რომლებიც უფრო მკაცრია, ვიდრე სენ/ტკ 234-ის მიერ მომზადებული ევროპული სტანდარტების მოთხოვნები,

IV

დაუშვებელია წინამდებარე სტანდარტის სრული ან ნაწილობრივი კვლავწარმოება, ტირაჟირება და გავრცელება
სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ნებართვის გარეშე

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

თუმცა ეს არ გულისხმობს რაიმე დამატებით განმარტებებს. ეს არ ეხება მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ახალი მიდგომის დირექტივების ჰარმონიზებულ დებულებებში.

სენ/ტკ 234-ის სტანდარტები მიუთითებს CR 13737:2000-ზე (ან შემდგომ რედაქციებზე), თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ძალაშია სენ-ის 13737 ტექნიკური ანგარიშის (TA) 1-ლი და მეორე ნაწილის ბოლო ხელმისაწვდომი ვერსია.

ეროვნული კანონმდებლობის/რეგულაციების ჩამონათვალი დადგენილია სენ-ის თითოეული წევრისთვის. ეროვნული გვერდის შინაარსზე პასუხისმგებლობა ენიჭება სენ-ის თითოეულ წევრს.

შენიშვნა: სენ-ის ტექნიკური ანგარიშის მე-2 ნაწილში ასახულია გამოქვეყნების თარიღის დროს არსებული მდგომარეობა. იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული კანონმდებლობა/რეგულაციები შეიძლება შეიცვალა შესაბამის ქვეყნებში გამოქვეყნების შემდეგ, ცალკეული პირებს შეუძლიათ შეამოწმონ არის თუ არა კვლავ ზუსტი ინფორმაცია.